ხელი

ხელი ვიყოს ადამიანს ადუღებულს, შეშრეტილს, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ. ილია

№5, დეკემბერი, 2016

გამოცემა მომზადებულია სამოქალაქო განათლების პროგრამის – ,,მომავლის თაობა'' – ფარგლებში

კამპანია სისხლში შაქრის შემცველობის დასადგენად

ა(ა)იპ ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის IX და X კლასის მოსწავლეებმა პროგრამის „მომავლის თაობა" ფარგლებში წარმატებით ითანამშრომლეს ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებასთან. თანამშრომლობის შედეგად დაიწყო კამპანია სისხლში შაქრის შემცველობის დასადგენად.

მოსწავლეებმა გადავწყვიტეს გამოხმაურებოდნენ დიაბეტის მსოფლიო დღეს. მათ თავდაპირველად მოიძიეს ინფორმაცია, თუ რამდენად გავრცელებულია დაავადება სკოლაში. გამოირკვა, რომ სამ ბავშვს აწუხებს ეს პრობლემა. დაავადების პრევენციისა და მართვის მიზნით 14 ნოემბერს მოიწვიეს კლინიკა ,,მედალფას" მენეჯერი და ენდოკრინოლოგი. მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს დაავადების შესახებ, ასევე ახალგაზრდებს გადასცეს საინფორმაციო ბუკლეტები, რომელთა ქსეროასლებიც მომზადდა და გავრცელდა სკოლასა და თემში მოსახლეობის მეტი ინფორმირების მიზნით. ამავე შეხვედრაზე კლინიკის მენეჯერმა მოსწავლეებს შესთავაზა ჩაეტარებინათ უფასო გამოკვლევა შაქრიან დიაბეტზე. ამ შეთავაზებას მალევე მოყვა შედეგი — ხუთმა ახალგაზრდამ უკვე ჩაიტარა გამოკვლევა. ეტაპობრივად სულ 40 ახალგაზრდა შეიმოწმებს შაქრის მაჩვენებელს სისხლში.

თამარ ჩხიკვაძე, X კლასის მოსწავლე — ,,ვფიქრობ, ჩვენს მიერ დაწყებული ერთობლივი კამპანია სისხლში შაქრის შემცველობის დასადგენად, ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენ უკვე დავინახეთ შედეგი — ხუთი მოსწავლიდან ორს მომატებული აღმოაჩნდა სისხლში შაქრის დონე და ანალიზის საფუძველზე დაიწყეს შესაბამისი მკურნალობა. ჩვენ მხოლოდ IX — X კლასის მოსწავლეებით არ შემოვიფარგლებით, სამომავლოდ ვგეგმავთ სამიზნე ჯგუფის გაფართოებას და აღნიშნულ კამპანიაში მთელი სკოლის ჩართვას".

მცირე გრანტი ,,ჩემი სკოლა ჩემი სახლია"

პროგრამის ,,მომავლის თაობა" ფარგლებში ყოველწლიურად ცხადდება მცირე საგრანტო კონკურსი პარტნიორი სკოლებისთვის. კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულ საპროექტო განაცხადზე გაიცემა 450 ა.შ.შ. დოლარი. 2016 წლის სექტემბერში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა მოიპოვეს.

მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პროექტის ,,ჩემი სკოლა ჩემი სახლია" მიზანი სკოლის ეზოს მოწესრიგება და კეთილმოწყობაა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ჩაატარეს სასკოლო გამოკითხვა სკოლის ეზოს დიზაინის შემუშავების მიზნით. შემუშავებული დიზაინის წარდგენა მოხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა სკოლის ეზოს კეთილმოწყობაში. ასევე იგეგმება საინფორმაციო კამპანია ეკოლოგიის კუთხით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები მოამზადებენ საინფორმაციო ფურცლებს, გაავრცელებენ ადგილობრივ თემში; ითანამშრომლებენ მოსახლეობასთან, შეაგროვებენ ნერგებს და გაამწვანებენ სკოლის ეზოს; გადაიღებენ მცირე ვიდეოკლიპს თემში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და გააცნობენ საზოგადოებას. მცირე გრანტის თანხით მოხდება სკოლის ეზოს შესასვლელი ჭიშკრის განახლება და ღობის დაზიანებული ნაწილის შეკეთება.

მცირე გრანტი ,,ჩემი სკოლა ჩემი სახლია" ამჟამად განხორციელების პროცესშია და დასრულდება თებერვლის თვეში.

ხაჯალიის საჯარო სკოლა სასმელი წყლით უზრუნველყოფილია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლას მრავალი წლის მანძილზე ჰქონდა სასმელი წყლის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობა ახალაშენებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილია და აქვს ჭაბურღილი, სასმელი წყლის პრობლემა მაინც არსებობდა, რადგანაც ჭაბურღილის წყალი სასმელად უვარგისია. პრობლემის მოგვარების მიზნით IX კლასის მოსწავლეებმა მიმართეს სკოლასთან ახლოს მცხოვრებ ოჯახებს, გამოეჩინათ კეთილი ნება და მიეწოდებინათ სასმელი წყალი სკოლისთვის. მიმართვამ შედეგი გამოიღო - სოფელ ხაჯალიის მცხოვრებმა ერთ-ერთმა ოჯახმა ითანამშრომლა სკოლასთან და ნება დართო ახალგაზრდებს, ესარგებლათ მის საკუთრებაში არსებული წყაროს წყლით. თანამშრომლობის შემდეგ სკოლის დირექციამ უზრუნველყო წყლის შეყვანა სკოლის შენობაში. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად სკოლის 220 მოსწავლე და 33 მასწავლებელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. ხელი

განსაკუთრებული საჭიროებები არ არსებობს!

2016 წლის 5 დეკემბერს, ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლისა და ვან-ზომლეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები დღის ცენტრ ,,სავანეს“ ეწვივნენ. ვიზიტის მიზანი იყო კიდევ ერთხელ იმის ხაზგასმა, რომ განსაკუთრებული საჭიროებები არ არსებობს. ღონისძიებების ფარგლებში დღის ცენტრის აღსაზრდელებმა და სტუმარმა მოსწავლეებმა შეასრულეს ერთობლივი აქტივობები, დაამზადეს თემატური პოსტერები, ასევე ვან-ზომლეთის საჯარო სკოლამ ცენტრს სამახსოვროდ გადასცა ილუსტრირებული წიგნი. როგორც სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, თამარ კურტანიძემ აღნიშნა, ის და მისი მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ დღის ცენტრთან, რთავენ ცენტრის ბენეფიციარებს სასკოლო ღონისძიებებში, სტუმრობენ დაბადების დღეებზე, ახორციელებენ ერთობლივ აქტივობებს და მსგავსი საქმიანობების გაგრძელებას მომავალშიც აპირებენ.

ღონისძებაში მონაწილეობა მიიღო 28 მოსწავლემ. დღის ცენტრი ,,სავანე“ ამჟამად 14 ბენეფიციართან მუშაობს. ხელი

უსაფრთხო გზა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვან-ზომლეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გამოავლინეს საგზაო მოძრაობის პრობლემა ადგილობრივ თემში. ასევე მოიკვლიეს ის მიზეზები, რაც საგზაო მოძრაობის პრობლემებს იწვევს: არასწორი მანევრირება, ქვეითად მოსიარულეს მხრიდან არასწორი მოძრაობა, საჭესთან ტელეფონით საუბარი, ნარკოტიკული თრობის ქვეშ ყოფნა და ა.შ.

მოსწავლეებმა პროექტის მიზნად დაისახეს მოსახლეობაში და სკოლაში საინფორმაციო კამპანიის ჩატარება მოძრაობის წესების დაცვასთან დაკავშირებით, მათში ცნობიერების ამაღლება, ინფორმირებულობა, პრევენციული ზომების მიღება გადაჭარბებულ სიჩქარესთან და ქუჩაში სწორად მოძრაობასთან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები: შეაგროვეს ავტოავარიების ამსახველი ფოტო მასალა და მოამზადეს კედლის გაზეთი; საგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით მოამზადეს საინფორმაციო ბუკლეტები, გაწერეს მასში უსაფრთხოდ მოძრაობის წესები და გამოაკრეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; ასევე დახატეს თემატური პლაკატები.

პროექტის განხორციელების შედეგად ამაღლდა მოსწავლეების და თემის მაცხოვრებელთა ინფორმირებულობა საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებით. კანონის და წესების დაცვა ყველა ადამიანისათვის უსაფრთხოდ მოძრაობის მნიშვნელოვანი გარანტია. ხელი

აირჩიე პროფესია

ნაგომარის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს საკლასო პროექტი „აირჩიე პროფესია“. პროექტის მიზანი სხვადასხვა პროფესიების უფრო ახლოს გაცნობა, მოსწავლეების მიერ პროფესიის მნიშვნელობის გააზრება და ამ გზით მომავალში პროფესიის სწორად შერჩევის შესაძლებლობის მიცემა იყო.

პროექტის მიზნის მისაღწევად მოსწავლეებმა დაგეგმეს და განახორციელეს შემდეგი აქტივობები: მოიძიეს ინფორმაცია პროფესიების შესახებ. ჩაატარეს გამოკითხვა სკოლის მოსწავლეებში და პედაგოგებში იმის დასადგენად, თუ როგორ აირჩიეს მათ პროფესია; დამოუკიდებლად მიიღეს გადაწყვეტილება თუ ვინმეს დახმარებით; კვლევამ აჩვენა, რომ პედაგოგთა უმრავლესობამ პროფესია დამოუკიდებლად, თავისი სურვილით აირჩია. რაც შეეხება ნაგომარის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, გამოკითხვამ მათთვის პოპულარული პროფესიებიც გამოავლინა. ესენია: იურისტი, დიპლომატი, ბიზნესკონსულტანტი, მსახიობი, ჟურნალისტი, არქიტექტორი, ფარმაცევტი, ექიმი და ა.შ.

მოსწავლეებმა კვლევა სოფელშიც ჩაატარეს იმის დასადგენად, თუ რომელი პროფესიები იყო ძველად გავრცელებული თემში. კვლევამ აჩვენა რომ სოფელში უამრავი პროფესიის ადამიანი ცხოვრობდა. თუმცა დღეს ეს პროფესიები აღარ არსებობს, რადგან მათზე მოთხოვნა აღარ არის. ეს პროფესიებია: ვეტერინარი, აგრონომი, მექანიკოსი, სოფლის მეურნეობის დარგების სპეციალისტები, მებუხრე, კინომექანიკოსი, მექანიზატორი, მეაბრეშუმე, მეჩაიე, მჭედელი და სხვა. ასევე მოსწავლეებმა ინფორმაცია მოიძიეს იმ პროფესიების შესახებ, რომლებიც აქტუალური იქნება მომდევნო 10 წლის მანძილზე.

გამოკითხვამ აჩვენა რომ, მოსწავლეთა ნაწილი არ გეგმავს უმაღლეში ჩაბარებას. ამოტომ ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, დაეთვალიერებინათ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“, რათა არცერთი მოსწავლე დარჩენილიყო პროფესიის გარეშე. ხელი

წიგნიერების დონის ამაღლება მოსწავლეებში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმათის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ოქტომბერი-დეკემბრის თვეებში საკლასო პროექტი განახორციელეს თემაზე - წიგნიერების დონის ამაღლება მოსწავლეებში. პროექტის მიზანი მოსწავლეებში წიგნის კითხვის მოთხოვნილების ამაღლება და გაძლიერება იყო. პროექტის ამ თემაზე მომზადების იდეა მოსწავლეებს კვლევის შედეგებმა გაუჩინა. მათ ჩაატარეს სასკოლო გამოკითხვა თემაზე ,,წიგნი თუ კომპიუტერი"? გამოიკითხა V-XI კლასის მოსწავლეები. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა კომპიუტერს უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე წიგნს.

კვლევის შედეგიდან გამომდინარე მოსწავლეებმა გადაწყვიტეს კონკურსის გამოცხადება აქტიური მკითხველების გამოვლენის მიზნით. ერთი თვის მანძილზე ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წაეკითხათ რაც შეიძლება მეტი წიგნი და მოემზადებინათ მცირე პრეზენტაცია წაკითხული წიგნის შესახებ. 12 დეკემბერს მოეწყო შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც მოეწყო სამი ყველაზე აქტიური მკითხველის გამოვლენა და დაჯილდოვება სიმბოლური პრიზებით. ამავე დღეს წარადგინეს მოხსწავლეებმა მცირე პრეზენტაციები მათ მიერ წაკითხული წიგნების შესახებ. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ითანამშრომლეს სკოლის ბიბლიოთეკართან, რომელმაც ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი მოსწავლე რა პერიოდულობით მოიხმარდა ბიბლიოთეკის სერვისს და პროექტის განხორციელების შემდეგ რამდენად გაიზარდა მომხმარებელთა რაოდენობა. ხელი

ადრეული ქორწინება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი ადრეული ქორწინების თემაზე განახორციელეს. საკლასო პროექტის მიზანი ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება იყო ადრეული ქორწინების უარყოფით შედეგებზე.

პროექტი ნოემბერი-დეკემბრის თვეებში განხორციელდა და ამ პერიოდის მანძილზე ახალგაზრდებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები: მოსწავლეებმა ჩაატარეს გამოკითხვა თემში იმის დასადგენად, თუ რა დადებითი და უარყოფითი შედეგები ახლავს ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნას. გამოიკითხა სულ 50 ოჯახი. 14 დეკემბერს მოეწყო პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც მოწვეული იყვნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადამიანები, რომლებმაც

ოჯახი ადრეულ ასაკში შექმნეს. მათ გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება ახალგაზრდებს, აღნიშნეს, რომ ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნა ქმნის გარკვეულ პრობლემებს ჯანმრთელობის კუთხით, ასევე ფერხდება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები. ამავე შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს კანონმდებლობა ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით. დამსწრეთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა კანონპროექტი ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის შესახებ, რომელიც კრძალავს ქორწინებას 18 წლამდე. ხელი

რეგიონალური საბჭოს არჩევნები

2016 წლის 25 ოქტომბერს ,,გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში" სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ორგანიზებით ,,პედაგოგთა ფორუმის" რეგიონალური საბჭოს არჩევნები მოეწყო. არჩევნები წელს პირველად ჩატარდა და მიზნად რეგიონალური საბჭოს წევრების არჩევას ისახავდა. რეგიონალური საბჭოს კანდიდატები არჩეულნი იქნენ ფორუმის გამგეობის მიერ და მათი დამტკიცება წევრთა საერთო კრებამ გადაწყვიტა. რეგიონალური საბჭოს წევრები გახდნენ თამარ კურტანიძე, ილია ვადაჭკორია და ვლადიმერ აფხაზავა. მათი დამტკიცების შემდეგ საბჭომ თავისი შემადგენლობიდან რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ვლადიმერ აფხაზავა და თავმჯდომარის მოადგილედ თამარ კურტანიძე. ხელი

ბიბლიოთეკის, როგორც რესურსის გამოყენების პოპულარიზაცია მოსწავლეებში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი განახორციელეს ბიბლიოთეკის, როგორც რესურსის გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ სკოლის ბიბლიოთეკით მოსწავლეები ნაკლებად სარგებლობდნენ. ამის მიზეზი თავად ბიბლიოთეკის გაუმართაობა (დაზიანებული ინფრასტრუქტურა, მოძველებული საძიებო სისტემა) და მოსწავლეების დაბალი ინტერესი იყო მხატვრული ლიტერატურისადმი.



მოსწავლეებმა მიზნად დაისახეს ბიბლიოთეკის მოწესრიგება, ოთახის გარემონტება, ინტერერის გადახალისება, წიგნადი ფონდის ახალი ლიტერატურით შევსება. ასევე, კონკურსების გზით მოსწავლეებში კითხვის კულტურის ამაღლება.

მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მოსწავლეებმა დაალაგეს ბიბლიოთეკის ოთახი, გაასუფთავეს წიგნები და დააალაგეს ისინი ანბანის მიხედვით. გამოაცხადეს ,,აქტიური მკითხველის ''კონკურსი, ასევე ესსეების კონკურსი: ,ჩემი წიგნი'' და ,,ჩემი გმირი''. V-XII კლასის მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია კონკურსების პირობების შესახებ. ამ საქმეში ჩართეს კლასის დამრიგებლები და ლიტერატურის პედაგოგები.

სამომავლოდ იგეგმება მოლაპარაკება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში თანამონაწილეობის გაწევის მიზნით. ასევე საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა თემში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებებში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდის მიზნით. ,,აქტიური მკითხველისა'' და ესსეების კონკურსებში მონაწილე მოსწავლეებს შორის გამარჯვებულების გამოვლენა და წახალისება პრიზებით. ხელი

ჩემი სივრცე

დაბა ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი ,,ჩემი სივრცე“ განახორციელეს. პროექტის მიზანი თავისუფალი დროის სწორად გამოყენება და ახალგაზრდებში შემოქმედებითი უნარების განვითარება იყო.

პროექტის მიზნის მისაღწევად მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები: მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც მიმართვის საფუძველზე გამოყო ოთახი ხელოვნების წრის სამუშაო შეხვედრებისთვის. ასევე შეიძინა მასალების ნაწილი ხელნაკეთი ნივთების დასამზადებლად.

სკოლის V-XI კლასის მოსწავლეების ბაზაზე ჩამოყალიბდა ხელოვნების წრე, რომლის წევრებსაც ხელოვნების მასწავლებელი კვირაში ორჯერ მოხალისეობრივად უტარებს შეხვედრებს და შეასწავლის ხელგარჯილობას;

შესაძლო თანამშრომლობის გზების დასახვის მიზნით მოსწავლეები ეწვივნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეას, წარუდგინეს საკლასო პროექტი გალერიის დირექტორს და მიიღეს მისგან რჩევები, თუ რა ნივთები მოამზადონ არსებული რესურსის გათვალისწინებით, რა იქნება მეტად პროდუქტიული. ასევე მიიღეს შეთავაზება - გალერიის საგამოფენო სივრცე გამოიყენონ ნამუშევრების გამოსაფენად. გალერიის დირექტორი ახალგაზრდებს ხელნაკეთი ნივთების დასამზადებლად მასალასაც შეჰპირდა;

დამზადდა ხელნაკეთი ნივთების გარკვეული რაოდენობა. დეკემბრის თვის ბოლოს იგეგმება ღონისძიება, სადაც მოეწყობა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა. შემოსული თანხით მოსწავლეები შეიძენენ ტკბილეულს და დღის ცენტრ ,,სავანეს“ ბენეფიციარებს მიულოცავენ ახალ წელს.

სკოლა ძალადობის გარეშე

დაბა ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტის თემად ,,ბულინგი“ შეარჩიეს. პროექტის მიზანად ახალგაზრდებმა ბულინგის პრევენციის ხელშეწყობა დაისახეს.

მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მოსწავლეებმა ჩაატარეს სასკოლო და სათემო გამოკითხვა თემაზე ,,რა არის ბულინგი?“ იმის დასადგენად, თუ რამდენმა ახალგაზრდამ იცოდა ამ ტერმინის სწორი განმარტება. გამოიკითხა დაახლოებით 120 ახალგაზრდა.

სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, თამარ კურტანიძემ მოსწავლეებისთვის ჩაატარა ტრენინგი ბულინგის შესახებ, მოეწყო თემატური ფილმების ჩვენება და განხილვა. ამავე შეხვედრაზე ტრენერმა ახალგაზრდებს შეასწავლა, როგორ ჩაატარონ სესიები ბულინგის თემაზე. ტრენინგის შემდეგ მოსწავლეებმა თავად ჩაუტარეს სესიები მოსწავლეებს V-VIII კლასებიდან.

მოეწყო სამი სესია ფსიქოლოგთან თემაზე ,,ბრაზის მართვა“. სესიებზე მოსწავლეებმა შეისწავლეს ისეთი აქტივობები/თამაშები, რომლებიც ადამიანს ეხმარება ბრაზის მართვაში. სესიებზე მიღებული გამოცდილება გაუზიარეს თანატოლებს.

მოამზადეს კედლის გაზეთი, რომელიც გამოიკრა სკოლის დერეფანში. ნებისმიერ მსურველს შეეძლო დაეფიქსირებინა თავისი აზრი ბულინგის შესახებ კედლის გაზეთზე.

სკოლის მოსწავლეებს სთხოვეს, შეესრულებინათ ნახატები ბულინგის თემატიკაზე. შესრულებული ნახატების გამოფენა მოეწყო სკოლის სააქტო დარბაზში.

USAID ამერიკელი ხალხისგან | საქართველო

PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

საინფორმაციო ფურცელი მოზადებულია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ სამოქალაქო განათლების პროგრამის - ,,მომავლის თაობა'' - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება PH-International-ის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. იგი წარმოადგენს პროგრამის საანგარიშო გამოცემას. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციები არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

გამოცემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და ასევე
თანამშრომლობის მსურველ მოზარდებსა და პედაგოგებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ:
გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი – ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4, II სართული
ტელ: 0496 27 41 26 / მობილური: 599 156384 / ელ—ფოსტა: GYRC.INFO@GMAIL.COM